

ნავროზ ბაირამის აღნიშვნის ჰუკმი

حكم الاحتفال بعيد النيروز

< ქართული - Georgian – الجورجية >



ავტორი: მუჰამმედ სალიჰ ალ-მუნაჯჯიდ

اسم المؤلف: شيخ محمد صالح المنجد

შენიშვნა

მთარგმნელი: ნოდარ დავითაძე

რეფერატი: ვეისელ ორუჯოვი

ترجمة: نودار (شعبان) داويتادز

مراجعة: فيصل أروجوف

ნავრუზ ბაირამის აღნიშვნის ჰუქმი



ნავრუზი: სპარსული სიტყვაა. არაბულში გადასულია, როგორც „ნაირუზ“. ნავრუზი ახალ დღეს ნიშნავს.

ნავრუზი ერთ-ერთი სპარსული დღესასწაულია, რომელიც სპარსულ დღესასწაულთა შორის ყველაზე დიდ დღესასწაულს წარმოადგენს. ის დღესასწაული პირველად სპარსთა პირველმა მეფემ ჯემშიდმა (ჯემშად) დააწესა.

ნავრუზი: სპარსული კალენდრის მიხედვით წლის პირველი დღეა და ხუთ დღეს გრძელდება.

ეგვიპტელი კოპტებიც (ეგვიპტელი ქრისტიანი არაბები) ნავრუზს აღნიშნავენ. კოპტების მიხედვით ნავრუზი ახალი წლის პირველი დღეა და მას „შემ ნასიმ“ (სიოს სურნლი)-ს დღესასწაულს უწოდებენ.

იმამი ზეჰეები (რ.ჰ.ა.) ასე ამბობს:¹

„რაც შეეხება ნავრუზს, ეგვიპტელებმა ამ სკითხში ზღვარს გადასცდნენ და ამ დღის აღნიშვნა დაიწყეს. ნავრუზი

¹ თაშაბუჰუ'ლ-ჰასიის ბი აჰლი'ლ-ჰამიის, გვ, 46.

კოპტების მიხედვით წლის პირველი დღეა და ამ დღეს ზეიმობენ. მუსლიმებიც ამ საქმეში მათ ბაძავენ.²

მუსლიმებისთვის ყურბან ბაირამისა და რამადან ბაირამის გარდა სხვა აღსანიშნავი დღესასწაული არ არსებობს. ამ ორი დღესასწაულის გარდა სხვა დღესასწაულები შემდგომ გამოგონილი ბიდათი დღესასწაულებია და მათი აღნიშვნა დაუშვებელია.

რადგანაც ენეს ბინ მალიქისგან (რ.ა.) გადმოცემის მიხედვით, მას ასე უთქვამს:

((قَدِمَ رَسُولُ اللَّهِ ﷺ الْمَدِينَةَ وَلَهُمْ يَوْمَانِ يَلْعَبُونَ فِيهِمَا، فَقَالَ: مَا هَذَانِ الْيَوْمَانِ؟ قَالُوا: كُنَّا نَلْعَبُ فِيهِمَا فِي الْجَاهِلِيَّةِ. فَقَالَ رَسُولُ اللَّهِ ﷺ: إِنَّ اللَّهَ قَدْ أَبْدَلَكُمْ بِهِمَا خَيْرًا مِنْهُمَا: يَوْمَ الْأَضْحَى وَيَوْمَ الْفِطْرِ.)) [رواه أبو داود والنسائي وصححه الألباني في السلسلة الصحيحة]

„როდესაც ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) მედინაში ჩამოვიდა, მედინას ხალხს ორი დღე ჰქონდათ, (ნევრუზი და მიჰრიჯანი) რომელსაც ზეიმობდნენ. ალლაჰის შუამავალმა ეს რა დღეებიაო იკითხა. იქ მყოფებმა უპასუხეს, რომ ჩვენ უვიცობის ხანიდან მოყოლებული (სანამ ისლამს მივიღებდეთ) ამ დღეებს ვზეიმობთო. ამის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ასე ბრძანა:

² მედინას ისლამის უნივერსიტეტის ჟურნალი. № 103-104.

-უეჭველად ალლაჰმა თქვენ, ეს დღესასწაულები მათზე უფრო უკეთესით შეგიცვალათ: რამადან ბაირამითა და ყურბან ბაირამითო.“³

შემდგომ გამოგონილ დღესასწაულებში შედის, ნავრუზ ბაირამი, დედების დღე, დაბადების დღე, თავისუფლების დღე და მსგავსი დღეები. დღესასწაულები, რომელშიც მუსლიმები მიიღებენ მონაწილეობას, თუ ნავრუზის დღესასწაულის მსგავსად ქაფირებისთვის დამახასიათებელი დღესასწაული იქნება, ამ შემთხვევაში მისი ჰარამობა უფრო დიდია.

ნავრუზის დღესასწაული წარმართული დღესასწაულია. სპარსელები ამ დღეს ისლამის მიღებამდეც ზეიმობდნენ და იგივენაირად აღნიშნავდნენ ქრისტიანებიც. ვინაიდან ამ დღესასწაულს თან ახლავს სპარსელებზე და ქრისტიანებზე ბაძვა და მათზე დამსგავსება, ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს მის ჰარამობაზე.

იმამი ზეჰები (რ.ჰ.ა.) ასე ამბობს:⁴

„დაბადების დღე, ხუთშაბათისა და ნავრუზის დღესასწაულებზე აკლი ზიმმა⁵-ზე დამსგავსება ცუდი

³ აბუ დავუდ, ჰ.ნ. 1134; ნესაი, ჰ.ნ. 1556; ალბანი, სილსილეთუ'ლ-აჰადისი'ს-აჰიჰა, ჰ.ნ. 2021. ალბანი ამბობს, რომ ჰადისი საჰიჰია.

⁴ ეთ-თემესსუქ ბი'ს-სუნნე ვე'თ-თაჰზიირ მინე'ლ-ბიდ'ა (სუნნეთზე ჩაჭიდება და ბიდათებზე მორიდება).

⁵ მუსლიმურ სახელმწიფოსი მცხოვრები არამუსლიმები. (მთარგმნელისგან)

ზიდათია. მუსლიმი, უვიცობით თუ ამ დღის რაიმე სიწმინდეს სცნობს ანუ რელიგიურ დღედ მიიჩნევს და მას იზეიმებს, ეს პიროვნება გაკიცხვას იმსახურებს და მას უნდა ესწავლოს ამ თემის მიმართ ისლამის დამოკიდებულება. თუ ამას აჰლი ზიმმას სიყვარულითა და მათი დღესასწაულების მიმართ სიხარულის გამოხატვის მიზნით ასრულებს, ასეთი საქციელიც გაკიცხვას იმსახურებს. და თუ ამას მხოლოდ ტრადიციისა და გართობის მიზნით, ოჯახის გასამხიარულებლად და ბავშვების გასახარად აკეთებს, მაშინ ასეთი საქციელი, ამ კონკრეტული პიროვნების მდგომარეობის გადახედვას და ისე შეფასებას საჭიროებს. მოქმედებები მხოლოდ განზრახვის მიხედვით ფასდება. უვიცი პიროვნება ასეთი საკითხების წინაშე საპატიოდ მიიჩნევა და მას ტკბილი ენით უნდა აეხსნას ისლამის დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. უზენაესმა ალლაჰმა უკეთესად იცის.“⁶

ხუთშაბათი: ერთ-ერთი ქრისტიანული დღეა. ისინი ამ დღეს „დიდ ხუთშაბათს“ უწოდებენ.

ფიყჰის ენციკლოპედიაში ტ. 12, გვ. 7, ვკითხულობთ:

ქაფირებზე მიბაძვა:

⁶ მედინას ისლამის უნივერსიტეტის ჟურნალი. № 103-104.

ალლაჰის შუამავლისგან (ს.ა.ს.) გადმოცემული შემდეგი ჰადისის თანახმად ქაფირებზე მიბაძვა არ შეიძლება:

[(مَنْ تَشَبَّهَ بِقَوْمٍ فَهُوَ مِنْهُمْ.)] [رواه أبو داود وأحمد]

„ვინც დაემსგავსება საზოგადოების რომელიმე წრეს, (მათ მსგავსად შეიმოსება, მათი გზით იაროს და მათი მსგავსი საქმეებით დაკავდეს) ის ერთ-ერთი მათგანია.“⁷

განმარტება:

ეს ჰადისი მიზნად ისახავს, რომ მუსლიმები მოარიდოს ქაფირების საქმეებს, მათზე დაემსგავსებასა და მათი საქმეების დამოწმებას.

აბდულლაჰ ბინ ამრისგან (რ.ა.) გადმოცემის მიხედვით მას ასე უთქვამს:

[(مَنْ مَرَّ بِبِلَادِ الْأَعَاجِمِ (وَفِي رِوَايَةٍ: بَنَى بِأَرْضِ الْمُشْرِكِينَ) فَصَنَعَ نَيْرُوزَهُمْ وَمَهْرَجَانَهُمْ، وَتَشَبَّهَ بِهِمْ حَتَّى يَمُوتَ وَهُوَ كَذَلِكَ، حُسِرَ مَعَهُمْ يَوْمَ الْقِيَامَةِ.)]

[عون المعبود و فيض القدير]

„ვინც უცხო ქვეყანაში გაივლის (სხვა გადმოცემის მიხედვით: ვინც მუმრიქების მიწაზე იცხოვროს), მათი ნავრუზისა და მიჰრიჯანის დღესასწაულები აღნიშნოს, მათ დაემსგავსოს და სიკვდილამდე ამ მდგომარეობაში დარჩეს (ანუ არ მოინანიოს), განკითხვის დღეს მათან ერთად აღდგება.“⁸

⁷ აბუ დავუდი და იმამი აჰმედ ბინ ჰანბელი.

⁸ ავნუ'ლ-მა'ბუუდი და ფეიდუ'ლ-ყადირი.

ეს იმიტომ, რომ დღესასწაულები მათი ერთგვარი შარიათი და გზაა.

უზენაესი ალლაჰი ამის შესახებ ბრძანებს:

[سورة الحج من الآية: ٦٧]

„ჩვენ ყველა უმმეთს დავუდგინეთ მიმართულება (შარიათი) რომლის მიხედვითაც თავიანთი ღვთისმსახურებები უნდა შეასრულონ.“⁹

როგორებიცაა ყიბლე, ნამაზი, რამადანი და სხვა...

ამიტომაც მათ დღესასწაულებზე დასწრებასა და მათ სხვა ღვთისმსახურებებსა თუ ტრადიციებზე მიყოლას შორის არავითარი განსხვავება არ არის. რადგანაც მათი დღესასწაულების მთლიანად აღიარება, მათი ქუფრის აღიარებაა. მათი დღესასწაულების ნაწილობრივ აღიარება, მათი ქუფრის ნაწილობრივ აღიარებაა. დღესასწაულები შარიათების (რელიგიების) ერთმანეთისგან განმასხვავებელი ყველაზე დიდ თვისებებსა და ცხად სიმბოლოებს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე მათი დღესასწაულის აღიარება, ქუფრის ყველაზე დიდი თვისებისა და ცხადი სიმბოლოს აღიარებაა. უეჭველად, ასეთი რამის აღიარება ბოლოს ქუფრით დასრულდება.

ჰანეფი მეზჰების სწავლულთაგან ყადი ჰანი ასე ამბობს:

⁹ ჰაჯჯ, 22/67.

„კაცი, როდესაც ნავრუზის დღეს შეიძენს ისეთ რამეს, რასაც სხვა დღეებში ჩვეულებრივ არ ყიდულობს ხოლმე და ამით ქაფირების მიერ პატივცემული ამ დღის პატივისცემასა და მასზე მომსახურებას აპირებს, ის პიროვნება ქაფირი გახდება. თუ მან ამ დღის მიმართ პატივისცემის გამოხატვისა და მასზე მომსახურების მიზნით არა და მხოლოდ გართობის მიზნით შეიძინა, მაშინ ქაფირი არ გახდება. თუ ნავრუზის დღეს ვინმეს საჩუქარს გაუკეთებს და რამეს აჩუქებს, თუმცა ამით ამ დღის მიმართ პატივისცემის გამოხატვა და მასზე მომსახურება არ განუზრახავს და მხოლოდ იმ ხალხში გავრცელებული ადათის შესასრუებლად აკეთებს, მაშინ ქაფირი არ გახდება. მუსლიმმა ამ დღეს არ უნდა შეუდგეს ისეთ განსაკუთრებულ საქმეებსა და სამზადისს, რასაც არც ამ დღის მოსვლამდე და არც ამ დღის გასვლის შემდეგ არ აკეთებს ხოლმე და ქაფირებზე მიბაძვისგან თავი შორს უნდა დაიჭიროს.“

მალიქი მეზჰების სწავლულთაგან იბნი ყასიმი; „მუსლიმის მიერ ქრისტიანზე თავის დღესასწაულზე საჩუქრის ჩუქებას ცუდად მიუჩნევია და ეს საქციელი მისი დღესასწაულის დიდებად და მასზე ქუფრში დახმარებად მიაჩნდა. ასევე თავიანთ დღესასწაულებზე ქაფირებზე მიბაძვაც არ შეიძლება. ასეთ საკითხებში მათზე მბაძავი მუსლიმის დახმარებაც არ შეიძლება, პირიქით ის უნდა

მოვარიდოთ ამ საქმეს. ამიტომაც, თუკი ვინმე ქაფირების დღესასწაულზე, ისლამის შეუსაბამო წვეულებას გამართავს, ასეთ წვეულებაზე არ უნდა დავესწროთ. თუ რომელიმე მუსლიმი, საჩუქარს გვჩუქნის, რომელიც არ შეესაბამება მის ჩვეულებრივ საქციელს, როგორც სხვა დროებში იქცევა ხლომე და გჩუქნით ისეთ რამეს, რაც მათზე დამსგავსებასა და ბაძვას ხელს უწყობს, ასეთი საჩუქრის მიღება არ შეიძლება. მაგალითად დაბადების დღეზე სანთელის და მსგავსი რამეების ჩუქება.¹⁰ თავიანთ დღესასწაულებზე ქაფირებზე მიმბაძველი მუსლიმები უნდა დაისაჯონ.“

კიდევ ერთი სწავლული აბდულლაჰ ბინ ჯიბრინი (აღლაჰმა დაიფაროს იგი) ასე ამბობს:

„ქრისტიანების ახალი წლის, (მაზდეანების) ნავროზისა და მიჰრიჯანის მსგავსი ბიდათი დღესასწაულების აღნიშვნა არ შეიძლება. ასევე მუსლიმთა მიერ გამოგონილი რაბბიუ'ლ-ევველის მთვარეში შუამავლის (ს.ა.ს.) დაბადების დღის და რეჯების მთვარეში მირაჯის ღამის აღნიშვნაც არ შეიძლება. ქრისტიანების (საახალწლოდ) ან მუშრიქების მიერ თავიანთი დღესასწაულებისთვის მომზადებული საჭმელების ჭამაც არ შეიძლება. ასევე ამ დღესასწაულების აღნიშვნისთვის მოწყობილ წვეულებაზე დასწრებაც არ შეიძლება. რადგანაც ამ

¹⁰ მაგალითად აღდგომის დღესასწაულზე პასკებისა და შეღებილი კვერცხის ჩუქება, რომელსაც სხვა დროს ჩვეულებრივ არ აკეთებს ხოლმე. (მთარგმნელისგან)

დღესასწაულებზე დასწრება მათი ამ საქმის მიმართ წაქეზება, შეგულიანება და მათი ბიდათების მიმართ თანხმობაა. გარდა ამისა, ამგვარი საქმეები უვიცი ხალხის მოტყუებას უწყობს ხელს, რის გამოც ისინი ფიქრობენ, რომ ქაფირების ამგვარ მოქმედებებში უჩვეულო არაფერია. უზენაესმა ალლაჰმა უკეთესად იცის.¹¹

მოკლედ რომ ვთქვათ, მუსლიმისთვის მიუღებელია ნავრუზ ბაირამის აღნიშვნა, ამ დღის პატივსაცემად განსაკუთრებული საჭმელების მომზადება, საჩუქრის ჩუქება და მსგავსი რამეების ამ დღეზე მიძღვნა.

უზენაესმა ალლაჰმა უკეთესად იცის.

¹¹ ალ-ლუ'ლუ'ულ-მეჟინ მინ ფეთაავაა იბნ-ი ჯიბრინ; გვ. 27.

